



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გადაწყვეტილება**

ქ. თბილისი

2020 წლის 10 თებერვალი

**დისციპლინური საქმე №199/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2019 წლის 02 დეკემბრის №199 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 06 დეკემბრის №494/199-03 წერილით მოსამართლე -- -- ეცნობა №199 საჩივრის შემოსვლის და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 06 დეკემბრის №495/199-03 წერილით განხორციელდა საქმის მასალების ასლების გამოთხოვა.

1. საჩივრის (საჩივრების) ავტორის მიერ მითითებული გარემოებები

საჩივრის ავტორის განცხადებით, სადავო საქმის (საქმე -- --) განხილვისას, მოსამართლემ მიიღო არასწორი, უკანონო გადაწყვეტილებები (-- -- განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, -- -- განჩინება მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე უარის თქმის თაობაზე, -- -- განჩინება შეგებებული სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ და -- -- საოქმო განჩინება საქმის განხილვის გადადების შესახებ).

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

2019 წლის 27 აგვისტოს -- -- სარჩელით მიმართა -- -- საქალაქო სასამართლოს მოპასუხის, -- -- წინააღმდეგ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრების მოთხოვნით. ასევე, სარჩელის ავტორმა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მოპასუხისათვის მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვა მოითხოვა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2019 წლის 27 აგვისტოს განჩინებით სარჩელის ავტორის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა.

2019 წლის 25 ოქტომბერს -- -- განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა მოითხოვა.

2019 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2019 წლის 21 ნოემბერს -- -- საქალაქო სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართა მოპასუხის წარმომადგენელმა, -- -- მიმართ და ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

2019 22 ნოემბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის განსახილველად მიღებაზე.

2019 წლის 22 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა საქმის განხილვის გადადების შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს. 2019 წლის 22 ნოემბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

2019 წლის 22 ნოემბრის საბოლოო გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით (როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მიერ). წინამდებარე გადაწყვეტილების მომზადების დროისათვის საქმის განხილვა -- -- სასამართლოში არ დასრულებულა (მოსამართლე,-- --).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, მოცემული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, „მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით...“ იმავე კოდექსის 194-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, „სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება, რომელიც უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსის 285-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და რომელშიც მითითებული უნდა იყოს, უზრუნველყოფის რომელი კონკრეტული ღონისძიება შეარჩია სასამართლომ.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის

შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად.“ იმავე კოდექსის 190-ე მუხლის შესაბამისად, „თუ შეგებებული სარჩელი აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, მოსარჩელის თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება.“ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი ნაწილის მიხედვით, „საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გონივრული ვადით.“

2019 წლის 21 ნოემბერს მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მიმართა მოსამართლე -- -- . 2019 წლის 22 ნოემბრის განჩინებით -- -- უარი ეთქვა შეგებებული სარჩელის განსახილველად მიღებაზე და ასევე, საქმის განხილვის გადადებაზე.

ამდენად, საქმის მასალების გაცნობის შედეგად მტკიცდება, რომ შესაბამისი განჩინებების (-- -- განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, -- -- განჩინება მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე უარის თქმის თაობაზე, -- -- განჩინება შეგებებული სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ და -- -- საოქმო განჩინება საქმის განხილვის გადადების შესახებ) მიღებისას მოსამართლე მოქმედებდა კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მოსამართლე -- -- განჩინებებს იღებდა მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

-- -- 2019 წლის 02 დეკემბრის №199 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი